საქართველოს სახელმწიფო ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1926 წლის ივნისის 10.	№ 5. განყოფილება პირველი	ა/კ. ცენტ. აღმას. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემ.

შინაარსი:

მუხ. 646. გოგირდის საგასაცემო საბითუმო ფასების შესახებ.

„ 647. ქალ. განჯის დამატების შესახებ იმ ქალაქების სრისათვის რომელნიც აღნიშნულ არიან ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მე-6/62 №-რის დადგენილებაში და რომელი ქალაქებიც ვალდებულ არიან გაატარონ სამრეწველო საწარმოთა რეგისტრაცია.

„ 648. შაბიმანის საგასაცემო საბითუმო ფასების შესახებ.

„ 649. ტფილისში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წამსვლელ გლეხ-ექსკურსანტებისათვის საექსკურსიო ტარიფის დაწესების შესახებ.

„ 650. სტუდენტ-პრაქტიკანტების შვებულების შესახებ.

„ 651. რევოლიუციის მოღვაწეთა და სხვა პირთა ძეგლების შესახებ.

„ 652. სამუშაო ხელფასის ზედნართის შესახებ საწარვლინებო დღიურის ნაცვლად.

„ 653. დებულება სამეტეოროლოგიო სამსახურის შესახებ.

„ 654. უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების შეცვლის შესახებ.

„ 655. სავაკრო რეგისტრაციის გამოსაღების შესახებ.

„ 656. სასაქონლო-საფონდო ბირჟებთან არსებული სარეგისტრაციო ბიუროების დებულების გაუქმებისა და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის იმ ინსტრუქციების გაუქმების შესახებ, რომელიც სასაქონლო-საფონდო ბირჟებს შეეხება.

„ 657. ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათა რეგისტრაციის შესახებ.

„ 658. კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგისტრაციის წესის შესახებ.

„ 659. ხიზილალისა, რძისა, ნედლი ბოსტნეულობისა და კარტოფილის საგადასაზიდო ადგილობრივი ტარიფის შესახებ.

„ 660. საბინაო-საიჯარო, მუშათა-საღმშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა წევრების რიცხვის მინიმუმის დაწესების შესახებ.

„ 661. სოფლად საგადანაკვეთო დაზღვევის ნარჩენის იძულებით გადახდევინების შესახებ.

„ 662. ადგილობრივი ტარიფის შესახებ ქალ. ჭიათურის მუშა-მოსამსახურეთა მგზავრობისათვის.

„ 663. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სადასაბეგვრო ობიექტებისა და ნიშნების აღნუსხვის წესის შესახებ.

„ 664. ა/ქსფსრ სახალხო მეურნეობის გრძელვადიანი ფინანსიურობისათვის განცხადებების შედგენისა და გატარების შესახებ 1926-27 საბიუჯეტო წელში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ 665. სასოფლო მეურნეობის შემოსავლისა და არასამიწათმოქმედო შრომის საშოვარის სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან განთავისუფლებისა, მემინდვრეობისა, მებალახეობისა და ოთხფეხი საქონლის შემოსავლიანობის ნორმების დაწესებისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაუბეგრავი მინიმუმისა და ამ გადასახადის გასტუმრების ვადების დაწესების შესახებ.

„ 666. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სოფლის მოსახლეობის საშრომო საგზაო ბეგარიის შესახებ“ გამოცემული დადგენილების შეფარდების წესებისათვის.

დადგენილება № 20/76 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

1926 წ. აპრილის 28.

646. გოგირდის საგასაცემო საბითუმო ფასების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წლის ივნისის 26 თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნ. თანახმად—ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1925 წ. მაისის 15-ს თარიღისა და 42 №-რის, დადგენილების გასაუქმებლად, ადგენს:

§ 1. ა/კ სასოფლო-სამეურნეო იარაღების ტრესტის და ა/კ. კავშირის საგასაცემო საბითუმო ფასი „ბუდდა“-ს მარკის გოგირდზე დაწესებულ იქნეს სახელმწიფო ვაჭრობისა და ნაციონალიურ კოოპერატიულ ცენტრებისათვის მისაყიდად ერთ ფუთზე ბრუტტო ნეტტოთი ფრანკო-ვაგონი ბათუმში—2 მან. და 40 კ.

§ 2. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და ნაციონალური კოოპერატიული ცენტრების საგასაცემო საბითუმო ფასი „ბუდდა“-ს მარკის გოგირდზე დაწესებულ იქნეს პირველი საფეხურის კოოპერატივებისათვის მისაყიდად ფუთზე ბრუტტო ნეტტოთი ფრანკო-ვაგონი ბათუმში—2 მან. და 55 კაპ.

§ 3. პირველი საფეხურის კოოპერატივის საგასაცემო საბითუმო ფასი „ბუდდა“-ს მარკის გოგირდზე უშუალოდ მომხმარებელ-გლეხებისათვისა მისაყიდად დაწესებულ იქნეს შემდეგი რაოდენობით: თვითეიერებულება ფრანკო-ვაგონი ბათუმში პლიუს 15 პროც. დანაფანტის ასანაზღაურებლად და აგრეთვე კოოპერატივის საორგანიზაციო და სხვა ხარჯების დასაფარავად და პლიუს ნამდვილი ხარჯი გოგირდის იმ ადგილამდე გადაგზავნისა, სადაც გაყიდვა მოხდება. ფასი ბრუტტო ნეტტოთი.

§ 4. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში უნდა იქონიოს მეთვალყურეობა ამა დადგენილების სისწორით აღსრულებისათვის.

§ 5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 6. დადგენალება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი მოადგილე **მერკუროვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1166 №-ში 1926 წ. მაისის 5-ს.

დადგენილება № 1975 ა/კსფს შინა-ვაჭრობის სახალხო კომისრიატისა.

1926 წ. აპრილის 1.

647. ქალაქ განჯის დამატების შესახებ იმ ქალაქების სიისათვის, რომელნიც აღნიშნულ არიან ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მე-6/62 №-რის დადგენილებაში და რომელი ქალაქებიც ვალდებულ არიან გაატარონ სამრეწველო საწარმოთა რეგისტრაცია.

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დებულების მე-20 მუხ. (კან. კრებ. 1925 წ. მე-5 №-რი, მუხ. 181) და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ერთიანი სავაჭრო რეესტრის შესახებ" 1925 წ. აპრილის 2-ს თარიღითა და მე-16 №-რით გამოცემული (კან. კრ. 1925 წ. მე-4 №-რი, მუხ. 407) დადგენილების მე-7 მუხ. თანახმად,—შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მე-6 (62) №-რის დადგენილების 1-ლი მუხ. ჩამოთვლილ ქალაქთა სიას დაემატოს ქალ. განჯა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარი **ერქომაიშვილი.**

საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1168 №-ში 1926 წ. მაისის 7-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 2177 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. აპრილის 26.

648. შაბიამანის საგასაცემო საბითუმო ფასების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26 თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნ. თანახმად ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1925 წლის მაისის 21-ს თარიღისა და 43 №-რის, დადგენილების გასაუქმებლად, ადგენს:

§ 1. ა/კ. კავშირისა, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნო ბანკისა და ა/კ. სასოფლო-სამეურნეო იარაღების ტრესტის საგასაცემო საბითუმო ფასი „მაკლსფელდ“-ის მარკის შაბიამანზე დაწესებულ იქნეს ეროვნული კოოპერატიული ცენტრებისა და სახელმწიფო ვაჭრობისათვის მისაყიდად ერთ ფუთზე ფრანკო-ვაგონი ბათუმში ბრუტტო ნეტტოთი—5 მან. და 70 კაპ., ხოლო კერძო პირებისათვის—5 მან, 85 კაპ.

§ 2. ა/კ. კავშირისა, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ბანკისა, ნაციონალური კოოპერატიული ცენტრების და ა/კ. სასოფლო-სამეურნეო იარაღების ტრესტის საგასაცემო საბითუმო ფასი „მაკლსფელდ“-ის მარკის შაბიამანზე დაწესებულ იქნეს პირველი საფეხურის კოოპერატივებისათვის მისაყიდად ფუთზე ფრანკო-ვაგონი ბათუმში ბრუტტო ნეტტოთი—5 მან. 85 კაპ.

§ 3. პირველი საფეხურის კოოპერაციის საგასაცემო საბითუმო ფასი „მაკლსფელდ“-ის მარკის შაბიამანზე უშუალოდ მომხმარებელ-გლეხთათვის მისაყიდად დაწესებულ იქნეს შემდეგის რაოდენობით: თვითღირებულება ფრანკო-ვაგონი ბათუმში პლიუს 12 % დანაფანტის ასანაზღაურებულად და კოოპერატივის საორგანიზაციო და სხვ. ხარჯის დასაფარვად და პლიუს ნამდვილი ხარჯები შაბიამანის იმ ადგილას გადასაგზავნად, სადაც გაყიდვა მოხდება. ფასი ბრუტტო ნეტტოთი.

§ 4. ა/კ. სასოფლო-სამეურნეო იარაღების ტრესტის ტფილისის მაღაზიაში „მაკლსფელდ“-ის მარკის შაბიამანის გაყიდვა სწარმოებს პირველი საფეხურის კოოპერაციისათვის და სახელმწიფო ვაჭრობისათვის ფუთი 6 მან. და 55 კაპ., ხოლო კერძო პირებისათვის—6 მან. და 75 კაპ. ფასი ბრუტტო ნეტტოთი.

§ 5. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში მეთვალყურეობა უნდა იქონიოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებისათვის.

§ 6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

§ 7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მასი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამართველოს უფროსის მოადგ. **მერკუროვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1168 №-ში 1926 წ. მაისის 7-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კ. რკინ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

1926 წ. აპრილის 26.

(პლენ. სხდ. № 12—4—9).

649. ტფილისში ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წამსვლელ გლეხ-ექსკურსანტებისათვის საექსკურსიო ტარიფის დაწესების შესახებ.

სამი ათასი (3.000) გლეხ-ექსკურსანტის სამგზავროდ ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ტფილისში ა/კ. რკ. გზ. ყველა სადგურიდან ტფილისის სადგურამდე—უკან დაბრუნებით—დაწესებულ იქნეს ამა წლის მაისის 15-დან ივლისის 20-დე, ნორმალური ტარიფთან შედარებით, 50 პროცენტით შემცირებული საექსკურსიო ტარიფი.

საექსკურსიო ტარიფი ესე შეფარდებულ უნდა იქნეს, უკეთუ გამგზავრების სადგურზე წარდგენილ იქნება ა/კ. რკ. გზ. 1-ლი №-რის ფორმის სპეციალური მოწმობები, რომლებსაც საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთა შორის გაანაწილებს გამოფენის კომიტეტი, და რომლებიც შევსებულ უნდა იქნეს ხსენებული კომისარიატების მიერ თვითეული ექსკურსანტისათვის ცალკე; მოწმობებს ხელს მოაწერს სათანადო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი პირი და დაესმის შესაფერი ბეჭედი.

მოწმობას ძალა აქვს მხოლოდ ერთი მგზავრობისათვის და ამასთანავე ბეჭდით ვიზა უნდა ჰქონდეს გაკეთებული ა/კ. რკ. გზ. შემოსავლის ამკრეფ განყოფილების მიერ, ურომლისოდაც მოწმობას ძალა არ ექნება.

ტარიფი ესე რბილ ვაგონებსა და სასწრაფო მატარებლებში მოგზაურობაზე არ გავრცელდება.

ადგილის დასაჭერად პლაკატის სასყიდელი გაღებულ უნდა იქნეს საერთო წესისამებრ.

ამა საექსკურსიო ტარიფით მოგზაურ პირს, ბილეთსა და სამგზავრო მოწმობის ტალონთან ერთად, თან უნდა ჰქონდეს და წარუდგინოს კონტროლს დოკუმენტები, რომლითაც დამტკიცდება მისი უფლება ამა ტარიფით მოგზაურებისა.

საექსკურსიო ტარიფი ესე ძალაში შედის შვიდი დღის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან.

ქალ. ტფილისი. 1926 წ. მაისის 6.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1169 №-ში 1926 წ. მაისის 8-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმარტება № 4 აკსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. მაისის 7.

650. საწარმოში და დაწესებულებაში მომუშავე სტუდენტებისათვის საწარმოო პრაქტიკის გასავლელად შვებულების მიცემის შესახებ.

რადგანაც ზოგიერთი სტუდენტი ამა თუ იმ საწარმოს და დაწესებულების მუდმივ სამსახურში იმყოფება და შეიძლება ამ გარემოებამ ხელი შეუშალოს მას ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის მაისის 25-ს თარიღისა და 29 №-რის დადგენილებით (შრომის მომქმ. კანონმდ.—1926 წ. გამოც.) გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკა გაიაროს, ა/კ. შრომის სახალხო კომისარი ადგენს:

ყველა საწარმო, ორგანიზაცია და დაწესებულება მოვალეა მისცეს მის სამსახურში მყოფ სტუდენტებს შვებულება არა უხანგრძლივეს ორი თვის ვადისა, ჯამაგირის შეუნარჩუნებლად, უკეთუ ეს სტუდენტები წარვლინებულ იქნებიან არსებული წესისამებრ საპრაქტიკოდ საზაფხულო პრაქტიკის კომისიების მიერ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისრის
მოადგილე **ა. იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახალხო
კომისარიატის შრომის ბარჭის განყ. გამგე **გრიგორიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1171 №-ში 1926 წ. მაისის 11-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

651. რევოლიუციის მოღვაწეთა და სხვა პირთათვის ძეგლების დადგმის წესის შესახებ.

ა/კსფსრ ტერიტორიაზე რევოლიუციის მოღვაწეთა და სხვა პირთათვის ძეგლების დადგმის მოსაწესრიგებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ყველა ადგილობრივი ორგანო ა/კსფსრ ტერიტორიაზე მოვალეა თავისი მოსაზრებანი რევოლიუციის მოღვაწეთა და სხვა პირთათვის ძეგლის დადგმის შესახებ, შესაფერი მასალითურთ, წარუდგინოს სათანადო რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს წინასწარი დამტკიცებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **ს. აღამალი-ოღლი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. მაისის 11. ტფილისი-სასახლე.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1173 №-ში 1926 წ. მაისის 13-ს.

ცირკულარი № 18 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. მაისის 5.

652. სისტემატიური წარვლინებისათვის დღიური სარგოს ნაცვლად სამუშაო ხელფასის ზედნართის დაწესების შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას იძლევა—მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წ. აპრილის 19-ს თარიღისა და 100/510 №-რის განმარტება—სისტემატიური წარვლინებისათვის დღიური სარგოს ნაცვლად სამუშაო ხელფასის ზედნართის დაწესების შესახებ—ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „წარვლინებასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურების შესახებ" 1926 წ. აპრილის 30-ს თარიღითა და 29 №-რით გამოცემული (შრომის მომკ. კანონმდ. კრებ. ა/კსფსრ—1925 წ. გამოც., მუხ. 288) დადგენილების მე-13 მუხლის განსავითავებლად

ა/კ. შრომის სახალხო კომისრის
მოადგილე **ა. იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის
სატარიფო-საკონფლ. განყ. გამგე **ლ. თუმანოვი.**

განმარტება № 100510 სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. აპრილის 19.

სისტემატიური წარვლინებისათვის დღიური სარგოს ნაცვლად სამუშაო ხელფასის ზედნართის დაწესების შესახებ.

რადგანაც სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „წარვლინების სასყიდლის შესახებ“ 1923 წლის აგვისტოს 28 თარიღითა და 54 №-რით გამოცემული („სსრ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია-ს 1923 წ. 5/39 №-რი *) დადგენილების მე-8 მუხლი პრაქტიკაში სხვადასხვა გვარად იქნა გაგებული, ე. ი. ერთმანეთში ურევენ ამ მუხლით დაწესებულ მტკიცე ზედნართსა და ძირითად სამუშაო ხელფასს, სსრკ შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს:

1. სსრკ. შრომის სახალხო კომისარიატის 1923 წ. აგვისტოს 28-ს თარიღისა და 54 №-რის დადგენილების მე 8 მუხლით, დღიური სარგოს ნაცვლად, დაწესებული მტკიცე ზედნართი არის მიმომსვლელი მომუშავისთვის სისტემატიურ წარვლინებაზე გაწეული ხარჯის ანაზღაურება და არავითარ შემთხვევაში არა სამუშაო ხელფასი; ამისგამო ეს ზედნართი სათვალავში არ მიიღება საშუალო ხელფასის გამოანგარიშების დროს, თანახმად სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „საშუალო სამუშაო ხელფასის გამოანგარიშების შესახებ“ 1924 წ. მაისის 24-ს თარიღითა და 268/426 №-რით გამოცემული დადგენილებისა („სსრკ შრომის სახ. კ-ტის იზვესტია“-ს 1924 წ. 25—26 №-რი).

2. ზედნართი თვალნათლივ გამოყოფილ უნდა იქნეს ძირითად სამუშაო ხელფასადან მით, რომ კოლექტიურ თუ შრომის ხელშეკრულობაში შეტანილ იქნება სათანადო მუხლი; ამასთანავე ეს ზედნართი შეიძლება დაენიშნოს მარტოოდენ იმ პირს, რომელსაც, მისი მუშაობის ხასიათის მიხედვით, უხდება სისტემატიური მიმოსვლა.

3. წინა მუხლის წესით დადგენილ ზედნართზე სადასაზღვეო შესატანი გადახდევინებულ არ იქნება და დამზღვევი სალაროს მიერ დახმარების გამოანგარიშების დროს სათვალავში არ მიიღება; ხოლო დროებითი შრომის უნარდაკარგულობისათვის მიმოსვლის დროს წარვლინებულს შერჩება უფლება მიიღოს დამქირავებლისაგან ხელშეკრულებით დაწესებული ზედნართი, იმ დახმარების გარდა, რასაც დამზღვევი სალარო იძლევა, ხოლო არა უმეტეს, ვიდრე საწარვლინებო ვადისათვის.

სსრკ შრომის სახალხო
კომისარი **შმიდტი.**

სსრკ შრომის სახალხო
კომისარიატის სატარ.-საკონფლ. განყ გამგე **ბაბაშინსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1173 №-ში 1926 წ. მაისის 13-ს.

*) მე-8 მუხლი შესაბამება აკ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „წარვლინებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების“ შესახებ 1925 წ. თებერვლის 30-ს თარიღითა და 28 №-რით გამოცემული დადგენილების მე-13 მუხლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 13 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

653. ა/კსფსრ-ში სამეტეოროლოგიო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აეგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კსფსრ-ში სამეტეოროლოგიო სამსახურის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. მაისის 10. ტფილისი-სასახლე.

დებულება აკსფსრ-ში სამეტეოროლოგიო სამსახურის შესახებ.

1. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ თვითეულ რესპუბლიკას აქვს თავისი სამეტეოროლოგიო ცენტრი. ასეთ ცენტრად საქართველოსათვის არის—საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორია, აზერბაიჯანისათვის—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სამეტეოროლოგიო ნაწილი, სომხეთისათვის—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სამეტეოროლოგიო ნაწილი.

2. რესპუბლიკის სამეტეოროლოგიო ცენტრში თავმოყრილ უნდა იქნეს და შემუშავდეს ყველა იმ სადგურის დაკვირვება, რაც რესპუბლიკის ფარგლებშია, იმის მიუხედავათ, თუ რომელ უწყების მიერ არის ესა თუ ის სადგური მოწყობილი და ვინ ინახავს მას.

3. ამ მიზნით საერთო საკავშირო მასშტაბის უწყება, რომელსაც ამა თუ იმ რესპუბლიკის ფარგლებში თავისი ქსელი აქვს და ჰყავს ამ ქსელის გამაერთიანებელი ორგანოები, მოვალეა თავის დროზე მიაწოდოს სათანადო რესპუბლიკანურს სამეტეოროლოგიო ცენტრს თავისი სადგურების ძირითადი დაკვირვების დედნები; თანაც სადგურებისათვის ინსტრუქციობისა და ინსპექციობის გაწევა ძირითად დაკვირვებათა სფეროში სათანადო რესპუბლიკის სამეტეოროლოგიო ცენტრს დაეკისრება.

4. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სამეტეოროლოგიო ცენტრები აწარმოებენ თავიანთ მუშაობას იმ ერთიანი გეგმის მიხედვით, რაც დაწესებულ იქნება რესპუბლიკების სამეტეოროლოგიო ცენტრების წარმომადგენელთა ყრილობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. თვითეული სამეტეოროლოგიო ცენტრი შეიმუშავებს ყველა იმ სადგურის მასალას, რაც უწყებული რესპუბლიკისა და მისი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ტერიტორიაზეა, და გამოსცემს ყოველთვიურ და სადეკადო ბიულეტენებს.

6. აზერბაიჯანისა და სომხეთის სამეტეოროლოგიო ცენტრები თავისდროზე გაუგზავნიან თავიანთ სადეკადო და თვიურ ანგარიშებს საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიას, რომელსაც დაეკისრება მთლად ფედერაციის სადეკადო და თვიური ანგარიშების გამოცემა.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1174 №-ში 1926 წ. მაისის 14-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

654. უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო მიერ 1926 წ. აპრილის 21 დამტკიცებული უცხოელთა საცხოვრებელი დოკუმენტის დებულების 23 მუხლის („ზარია ვოსტოკა"-ს 1161 №-რი 1926 წ. აპრილის 27-ს ა) შესაცვლელად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნეს ზემოხსენებული დებულების 22 მუხლში აღნიშნული ვადა, რის შემდეგაც იმავე დებულების 21 მუხლში ჩამოთვლილი დოკუმენტები გამოცხადებულია ისეთ დოკუმენტებად, რომლებსაც ძალა დაეკარგა და ა/კსფსრ-ში ცხოვრების საფუძვლად არ გამოდგება, და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით დაინიშნოს ახალი ვადა.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭორ
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. მაისის 14. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1175 №-ში 1926 წ. მაისის 15-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

655. სავაჭრო რეგისტრაციის გამოსღების შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სავაჭრო რეგისტრაციის გამოსაღების შესახებ“ 1925 წ. დეკემბრის 4-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 82 №-რი, მუხ. 621) დადგენილების თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ;

დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ ტერიტორიაზე სავაჭრო რეგისტრაციის გამოსაღების შემდეგი განაკვეთები:

1) სავაჭრო რეესტრის მეორე კარში რეგისტრაცია-გასატარებელ იურიდიულ პირთათვის:

ა) ძირითადი რეგისტრაციისათვის. . . . . 25 მან.
ბ) მიმდინარე რეგისტრაციის წესისამებრ ცნობების თვითეული შეცვლისა და დამატებისათვის. . . . . 5 „
გ) სავაჭრო რეესტრის თვითეული ჩანაწერის ამოწერისათვის . 2 „

2) სავაჭრო რეესტრის მესამე კარში რეგისტრაცია-გასატარებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირთათვის:

ა) ძირითადი რეგისტრაციისათვის. . . . . 10 „
ბ) მიმდინარე რეგისტრაციის წესისამებრ ცნობების თვითეული შეცვლისა და დამატებისათვის . . . . . 3 „
გ) სავაჭრო რეესტრის თვითეული ჩანაწერის ამოწერისათვის . 1 „

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. აღამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. მაისის 11. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1175 №-ში 1926 წ. მაისის 15-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 25|81 ა|კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. მაისის 12.

656. სასაქონლო-საფონდო ბირჟებთან არსებული სარეგისტრაციო ბიუროების დებულების გაუქმებისა და შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის იმ ინსტრუქციების გაუქმების შესახებ, რომელიც სასაქონლო-საფონდო ბირჟებს შეეხება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. ნოემბრის 9-ს დადგენილების შესასრულებლად ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს: გაუქმებულ იქნეს:

1. 1924 წ. ოქტომბრის 17-ს დებულება—ა/კსფსრ სასაქონლო-საფონდო ბირჟებთან არსებულ სარეგისტრაციო ბიუროთათვის—ბირჟის გარეშე დადებული გარიგების რეგისტრაციის შესახებ (გამოქვეყნებულია კან. კრ. 1924 წ. მე-8 №-რში, მუხ. 270 და გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 727 №-ში 1924 წ. ნოემბრის 14-ს).

2. 1924 წ. ოქტომბრის 17-ს ინსტრუქცია—ა/კსფსრ სასაქონლო-საფონდო ბირჟებისათვის—ბირჟის გარეშე დადებულ სასაქონლო გარიგებითა რეგისტრაციის შესახებ (გამოქვეყნებულია კან. კრებ. 1924 წ. მე-8 №-ში, მუხ. 269 და გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 727 №-ში 1924 წ. ნოებრის 14-ს).

3. ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახ. კ-ტის 1925 წ. ოქტომბრის 12-ს ინსტრუქცია—„ა/კსფსრ ქალაქებში (ტფილისისა და ბაქოს გარდა) ბირჟაზე რეგისტრაცია-გასატარებელ გარიგებათა ბირჟის გარეშე დადებისათვის მინიმალური თანხის—200 მან. დაწესების შესახებ“ (გამოქვეყნებულია გაზ. “ზარია ვასტოკა„-ს 1007 №-ში 1925 წ. ნოემბრის 20-ს და „ა/კ. ბიულეტენი“-ს 170 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 14-ს).

4. ა/კ. სფსრ. შინა-ვაჭრობის სახ. კ-ტის 1925 წ. ოქტომბრის 12-ს ინსტრუქცია—„ბირჟის გარეშე ასანთზე დადებული გარიგების სარეგისტრაციო გამოსაღების შემცირების შესახებ“ (გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-ს“ 1007 №-ში 1925 წ. ოქტომბრის 20-ს და „ა/კ. ბიულეტენი“-ს 175 №-რში 1925 წ. ოქტომბრის 21-ს).

ა|კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1176 №-ში 1926 წ. მაისის 16-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 2682 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. მაისის 1.

657. ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათა რეგისტრაციის შესახებ.

სსრკ შინა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათა რეგისტრაციისათვის ინსტრუქციის გამოცემის გამო—ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს ამიერკავკასიის ყველა სასაქონლო ბირჟას—ბირჟის გარეშე დადებულ ხელშეკრულებათა რეგისტრაციისათვის იხელმძღვანელოს სსრკ შინა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული და „ტორგოვია იზვესტია“-ს ა/წ. აპრილის 27 თარიღის 47 №-ში გამოქვეყნებული ინსტრუქცია.

ამიერკავკასიის ბირჟების საბირჟო კომიტეტებმა, ერთი კვირის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, უნდა განსაზღვრონ რეგისტრაციაში გასატარებელ ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათა ღირებულების უკიდურესი თანხა და წარუდგინონ იგი დასამტკიცებლად ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს სათანადო რესპუბლიკაში.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარი **ერქომაიშვილი.**

მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1176 №-რში 1926 წ. მაისის 16-ს.

წერილი № 19 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წ. მაისის 14.

658. კოლექტიურ ხელშეკრულებათა სარეგისტრაციოდ წარდგენის წესის შესახებ.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგისტრაციის წესის შესახებ ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1922 წლის სექტემბრის 30-ს თარიღითა და მე-13 №-რით გამოცემული დადგენილების 1-ლი მუხლის განსავითარებლად წინადადება ეძლევა ვისაც ჯერარს:

რათა თავიდან აცილებულ იქნეს ყოველგვარი გაუგებრობა იმის გამო, რომ ორივე მხარე თანახმაა დადებულ კოლექტიურ ხელშეკრილებაზე, —საჭიროა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ხელშეკრულება, ხელმოწერის შემდეგ, სარეგისტრაციოდ წარედგინება შრომის სათანადო ორგანოს, ორივე მხარემ ხელი მოაწეროს აგრეთვე ხელშეკრულების წარგზავნის ქაღალდსაც.

ა/კ. შრომის სახალხო კომისრის
მოადგილე **იაშვილი**

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის
სატარ.-საკონფლ. განყოფ. გამგის მაგიერ **სოკოლვოი.**

შეთანხმებულია: ა/კ. პროფ. კავშ. საბჭო **იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1180 №-ში 1926 წ. მაისის 26-ს.

დადგენილება № 12-49 ა.პ. რ.პ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა.

659. ხიზილალისა, რძისა, ნედლი ბოსტნეულობისა და კარტოფილის საგადასაზიდო ადგილობრივი ტარიფის შესახებ.

1. ხიზილალის გადაზიდვისათვის არსებული ა/კ. რკ. გზ. 21-ლი №-რის ადგილობრივი ტარიფის შეცვლის შესახებ

ა/კ. რკ. გზ. 21 №-რის ადგილობრივ ტარიფში, რაც გამოქვეყნებულია სსრკ რკ. გზ. ტარიფ. კრებ. 186 № ში (2043) ხიზილალის გადაზიდვისათვის არსებული მეორე კლასი შეცვლილ იქნეს პირველ კლასად, რისთვისაც ტარიფის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად: „ხიზილალის (ჯგუფი 93, პოზ. 8) მცირე სისწრაფით გადაზიდვისათვის სასყიდელი გადახდევინებულ იქნება პირველი კლასით".

ცვლილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 30 დღის გასვლის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

2. ახალი და სტერილიზაციაქმნილი რძისა და პასტერიზაციაქმნილი რძისა და ნაღების დიდი (სამგზავრო) სისწრაფით გადაზიდვისათვის არსებული ა/კ. რკ. გზ. მე-15 №-რის ადგილობრივი ტარიფის გაუქმების შესახებ.

ახალი და სტერილიზაციაქმნილი რძისა და პასტერიზაციაქმნილი რძისა და ნაღების გადაზიდვისათვის არსებული ა/კ. რკ. გზ. მე-15 №-რის ადგილობრივი ტარიფი, რაც გამოქვეყნებულია სსრკ რკ. გზ. ტარიფ. კრებ. 174 №-ში (18127), გაუქმებულად იქნეს ცნობილი 30 დღის გასვლის შემდეგ დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ნედლი ბოსტნეულობისა და კარტოფილის გადაზიდვისათვის არსებული ა/კ. რკ. გზ. მე-3 №-რის ადგილობრივი ტარიფის ნაწილობრივი შეცვლის შესახებ.

ნედლი ბოსტნეულობისა და კარტოფილის გადაზიდვისათვის არსებულ ა/კ. რკ. გზ. მე-3 №-რის ადგილობრივ ტარიფში, რაც გამოქვეყნებულია სსრკ რკ. გზ. ტარიფ. კრებ. 126 №-ში (1098) გაუქმებულ იქნეს კარტოფილისათვის არსებული სავაგონო დატვირთვის სატარიფო ნორმა 12,5 ტონნის რაოდენობით და, ამის ნაცვლად, დაწესდეს საერთოდ კარტოფილისათვის არსებული სავაგონო დატვირთვის ნორმა 14 ტონნის რაოდენობით.

ცვლილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 30 დღის გასვლის შემდეგ დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

1926 წ. მაისის 22. ქ. ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1182 №-ში 1926 წ. მაისის 23-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

660. საბინაო-საიჯარო, მუშათა საბინაო-საამშენებლო და საერთო-სამოქალაქო საბინაო-საამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა წევრების რიცხვის მინიმუმის დაწესების შესახებ.

„სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საბინაო კოოპერაციის შესახებ 1924 წ. აგვისტოს 19-ს თარიღით გამოცემული დადგენილების ზოგიერთი მუხლის შეცვლის თაობაზე" სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1926 წ. აგვისტოს 19-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შესაბამისად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. იმ მოქალაქეთა მინიმუმი, რომელნიც საბინაო საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობას შეადგენენ, დაწესებულ იქნეს ისეთი რაოდენობით, რაც უწყებული სახლის მფლობელობის ფარგალში მცხოვრებ, საარჩევნო უფლების მქონე, პირთა საერთო რიცხვის ნახევარზე ნაკლები არ უნდა იქნება.

2. მუშათა საბინაო-საამშენებლო და საერთო-სამოქალაქო საბინაო-საამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობის წევრთა მინიმალური რიცხვის დაწესება მიენდოს ა/კ.-ფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. მაისის 24. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1184 №-ში 1926 წ. მაისის 26 ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ტენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

661. სოფლად სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის სასყიდლის ნარჩენის იძულებითი წესით გადახდევინების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ-ში სოფლად სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის იმ სასყიდლის გადახდევინება, რაც ნარჩენად არის გადარიცხული, უნდა სწარმოებდეს ადმინისტრატიულის წესით, მილიციის ორგანოების მეშვეობით, ისე რომ, მენარჩენის ქონება შეკრულ უნდა იქნეს, აიწეროს და გაიყიდოს.

2. აწერილი ქონების გაყიდვა, გარდა შენობებისა და იმ საგნებისა, რაზედაც, ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის კანონმდებლობით, შეუძლებელია მიქცეულ იქნეს გადახდევინება, უნდა მოხდეს სათემო, საუბნო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რაც სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს ეცნობება და რაც სისრულეში მოიყვანება, უკეთუ ათი დღის განმავლობაში სათანადო აღმასრულებელი კომიტეტისაგან მიღებულ არ იქნება საწინააღმდეგო პასუხი.

შენიშვნა. ქონების აწერისა და აწერილი ქონების გაყიდვისას მილიციის ორგანოები სათანადო შემთხვევაში იხელმძღვანელებენ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის აპრილის 15-ს დამტკიცებულ წესებს— ა/კსფსრ-ში სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა, გამოსაღებისა და ბაჟის მენარჩენთა ქონების შეკვრისა და საჯარო ვაჭრობით გაყიდვის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. მაისის 24. ტფილისი-სასახლე.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1184 №-ში 1926 წ. მაისის 26-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გაგზეთგასთან არსებული საუნუეგათაფორისო სატარიფო თათგირისა.

1926 წ. მაისის 24

(განმკარგ. სხდ. № 22—6)

662. ქალაქ ჭიათურის მუშა-მოსამსახურეთა მგზავრობისათვის ა/კ. რკ. გზ. ჭიათურა-საჩხერის უბნის ფარგალში ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ.

ქალაქ ჭიათურის მუშა-მოსამსახურეთა მგზავრობისათვის ჭიათურა-საჩხერის უბნის ფარგალში — ე. ი., სამსახურის ადგილის მიხედვით, საცხოვრებელ ადგილიდან ქალაქ ჭიათურამდე—წინაუკმოდ—დაწესებულ იქნეს ადგილობრივი ტარიფი ქალაქ გარემო ტარიფის რაოდენობით, რისთვისაც ჭიათურის სადგურის უფროსი გასცემს თვიურ ბილეთებს.

ამ ტარიფით მომოსვლისათვის საჭიროა წარდგენა ვინაობის მოწმობისა—ფოტოგრაფიულის სურათით, ოსაც სათანადო დაწესებულება გასცემს იმის დასამტკიცებლად, რომ ესა თუ ის პირი მართლაც მუშაა ან მოსამსახურე. ბილეთების გაცემა მოხდება საერთო საფუძველზე.

ტარიფი ესე დაწესებულია ერთის წლის ვადით და სამომავლოდ შემოიღება შვიდი დღის გასვლის შემდეგ დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

1926 წ. მაისის 24. ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1185 №-ში 1926 წ. მაისის 27-ს.

დადგენილება № 14 აპსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

663. ა/კსფსრ-ში 1926-27 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სადასაბეგვრო ობიექტებისა და ნიშნების აღნუსხვის წესისა და ორგანოების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1926-27 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის დასაბეგვრი შემოსავლის წყაროების აღნუსხვა და სოფლობითი სიების შედგენა, აგრეთვე განსაზღვრა თვითეული ცალკე მეურნეობისათვის სასოფლო მეურნეობის ისეთი სპეციალური დარგის დასაბეგვრი შემოსავლისა, რომლისთვისაც დაწესებული არ არის შემოსავლიანობის მტკიცე ნორმა, და განსაზღვრა არა-მიწის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობით მიღებული შემოსავლისა—დაეკისროს თვითეული სოფლის განსაკუთრებული შედგენილობის სასოფლო საბჭოს, სახელდობრ: სათანადო თემისა, უბნისა თუ დაირის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ან წევრის თავმჯდომარეობით და თემისა, უბნისა თუ დაირის გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტის წარმომადგენლისა და საფინანსო ორგანოს წარმომადგენლის (აღმნუსხველის) აუცილებელი მონაწილეობით, რისთვისაც მათ გადამწყვეტი ხმის უფლება აქვთ.

2. იმ სოფლად, სადაც სოფლის საბჭო არ არსებობს, 1-ლ მუხლში აღნიშნული მოვალეობანი დაეკისროს განსაკუთრებულ სააღნუსხვო კომისიას, რომელშიაც შეკვლენ: თავმჯდომარედ—თემისა, უბნისა თუ დაირის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ან წევრი, წევრებად: სათანადო სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, თემისა, უბნისა თუ დაირის გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტის წარმომადგენელი, საფინანსო ორგანოს წარმომადგენელი (აღმნუსხველი) და სოფლის ყრილობის მიერ არჩეული სამი გლეხი.

აღნუსხვის წარმოების წესებს შეიმუშავებს და დაამტკიცებს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. მაისის 27. ტფილისი-სასახლე.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1188 №-რში 1926 წ. მაისის 30-ს.

დადგენილება № 15 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

664. ა/კსფს სახალხო მეურნეობის გრძელვადიანი ფინანსიურობისათვის განცხადების შედგენისა და გატარების წესის შესახებ 1926-27 საბიუჯეტო წელში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დადგენილ იქნეს შემდეგი წესი ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის გრძელვადიანი ფინანსიურობისათვის განცხადების შედგენის და გატარებისა 1926-27 საბიუჯეტო წელში:

1. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია, რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან ერთად, არა უგვიანეს ა/წ. ივნისის 1-სა, შეადგენს ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების წინასწარ ორიენტირს 1926-27 წლისათვის, რისთვისაც მხედველობაში მიიღებს ა/კსფსრ-ში შემუშავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარების ხუთწლიან და სხვა გეგმებს და სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიის 1926-27 წლის საკონტროლო ციფრების წინასწარ ორიენტირს.

აღნიშნულ ხუშაობას ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისია აწარმოებს დაინტერესებულ ფედერატიულ და რესპუბლიკანურ უწყებათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

შენიშვნა. ამიერკავკასიის უმაღლესი ორგანოებისათვის დასამტკიცებლად წარსდგენ და საერთო-საკავშირო საკონტროლო ციფრებში მოსათავსებელ საბოლოო საკონტროლო ციფრებს ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისია შეადგენს დაინტერესებულ უწყებათა მონაწილეობით არა უგვიანეს ა/წ. ივლისის 20-სა.

2. რესპუბლიკანური უწყება მხედველობაში მიიღებს მის მიერ შემუშავებულ ხუთწლიან და სხვა გეგმებს და საკონტროლო ციფრების ზემოაღნიშნულ ორიენტირს და ისე შეადგენს მეურნეობის ფინანსიურობისათვის კონკრეტულ განცხადებას (თვითეული საწარმოსათვის ცალკე), რაც უნდა შეიცავდეს:

ა) საწარმოს მოქმედების დაწვრილებითი გეგმას 1926-27 წლისათვის;

ბ) კაპიტალური სამუშაოს ტეხნიკურ ხარჯთაღრიცხვასა და პროექტს და

გ) განმარტებითი წერილს, რაც სხარტად და ზედმიწევნით გამოარკვევს საწარმოს (უწყების) თანადროულ ფინანსიურ მდგომარეობას, განზრახული ხარჯის ეკონომიურ მიზანშეწონილებას, ამ ხარჯის გამოანგარიშების მეთოდს, მისივე დაფარვის წყაროს და ხარჯვის საკალენდრო გეგმას.

შენიშვნა. უკეთუ კაპიტალური მშენებლობის გეგმისა, პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა მოითხოვს დიდ ხარჯს,—ამას უწყება აწარმოებს მარტოოდენ სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის პირდაპირი და წინასწარი დასტურით.

3. რესპუბლიკანური უწყების მიერ შედგენილი განცხადება, 5 ცალად, წარედგინება არა უგვიანეს ა/წ. ივნისის 20-სა რესპუბლიკის ეკონომიურ თათბირს, რომელიც, თავისი მხრით, გადასცემს:

ა) საწარმოს 1926-27 წლის მოქმედების გეგმას და განზრახული ფინანსიურობის განმარტებითი წერილს—რესპუბლიკანურ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სახალხო კომისარიატს—დასკვნისათვის;

ბ) კაპიტალური სამუშაოს ტეხნიკურ ხარჯთაღრიცხვას და პროექტს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან მოწყობილ უმაღლეს ტეხნიკურ კომიტეტს—დასკვნისათვის; აღნიშნული დასკვნა არა უგვიანეს ივნისის 30-სა წარედგინება რესპუბლიკის ეკონომიურ თათბირს, სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

განცხადების განხილვა რესპუბლიკანურ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში მოხდება დაინტერესებული უწყებისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის აუცილებელი მონაწილეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო საგეგმო კომისია და ფინანსთა სახალხო კომისარიატი, არა უგვიანეს ივლისის 10-სა, თავიანთ დასკვნებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ფინანსიურობის შესახებ მიღებული განცხადებების გამო წარუდგნენ დასადასტურებლად რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ნაკარაუდევი სახალხო მეურნეობის ფინანსიურობის გეგმა წარედგინება რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის დასამტკიცებლად წარდგენასთან ერთად.

4. განცხადებების სასწრაფო ტემპით მსვლელობისათვის, რესპუბლიკანური ეკონომიური თათბირი, სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატისათვის ამა დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ პ. პ. აღნიშნულ საწარმოთა (უწყებათა) 1926-27 წ. მოქმედების გეგმებისა და განმარტებითი წერილების გადაცემასთან ერთად, ამავე მასალას (3 ცალად) გაუგზავნის ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს, რომელიც ამ მასალას წინასწარი განხილვისათვის ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას გადასცემს.

შემდგომ, რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ფინანსიურობის თათბაზე წარდგენილ განცხადებების დამტკიცებისას (ამა დად. მე 3 მუხ.), ხოლო არა უგვიანეს ა/წ. ივლისის 20-სა, რესპუბლიკანური ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ყველა დადგენილებანი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის სხდომების ოქმებითურთ და სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და უმაღლესი ტეხნიკური კომიტეტის დასკვნებითურთ (3 ცალად), გაეგზავნება ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს, რომელიც ამ მასალას განსახილველად ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს გადასცემს.

5. ამერკავკასიის ფედერატიული უწყება (საწარმო) ბეჭდველობაში მიიღებს მის მიერ შემუშავებულ ხუთწლიან და სხვა გეგმებს და ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრების ორიენტირს, აგრეთვე თავისი რესპუბლიკანური ფილიალებისა და თანამოსახელე საერთო-საკავშირო უწყებების (საწარმოთა) გეგმებს და ისე შეადგენს თავის განცხადებებს, რაც უწყების (საწარმო) მოთხოვნილებებს უნდა შეიცავდეს მთლად ფედერაციაში. განცხადება შესდგება ამავე მასალისაგან, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილების მე-2 მუხლში. განცხადებები, არა უგვიანეს ა/წ. ივნისის 30 სა, წარედგინება ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს, რომელიც დაუყოვნებლივ გადასცემს განსახილველად:

ა) უწყების (საწარმოს) მოქმედების გეგმასა და განჭარტებითი წერილს ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს;

ბ) სამუშაოთა ტეხნიკურ ხარჯთაღრიცხვებსა და პროექტებს—ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან მოსაწყობ უმაღლეს ტეხნიკურ კომიტეტს, რომლის დასკვნაც, არა უგვიანეს ა/წ. ივლისის 15-სა, წარედგინება ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

შენიშვნა 1. უკეთუ კაპიტალური მშენებლობის გეგმისა, პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა მოითხოვს დიდ ხარჯს, ამას უწყება აწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოებს მარტოოდენ ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს პირდაპირი და წინასწარი დასტურით.

შენიშვნა 2. ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედი საერთო-საკავშირო უწყება (საწარმო), თავისი საერთო-საკავშირო ცენტრისათვის განცხადების წარდგენასთან ერთად, წარუდგენს ამავე განცხადებას უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს, რომელიც ამ განცხადებას ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს გადასცემს დასკვნისთვის.

6. განცხადებანი შინა-ვაჭრობის სახელმწიფო საწარმოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა გრძელვადიანი ფინანსიურობისათვის სისტემაში მოიყვანება შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ, რომელიც ჯუმლობრივ განცხადებებს შემდგომ ინსტანციებში ამა დადგენილების წესისამებრ წარადგენს.

7. ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიისათვის გადაცემული ყველა განცხადება განიხილება მის მიერ დაინტერესებული უწყებისა და ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის აუცილებელი მონაწილეობით.

ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისია და ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი თავიანთ დასკვნებს განცხადებების გამო წარუდგენენ დასადასტურებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს ა/წ. აგვისტოს 15-სა. ნავარაუდევი ფინანსიურობის გეგმის სათანადო ნაწილი შეტანილ იქნება ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტში, რაც ერთსა და იმავე დროს დასადასტურებლად წარედგინება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და შემდგომ დასამტკიცებლად—ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

8. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სახალხო მეურნეობის ფინანსიურობის საერთო გეგმისა და ამიერკავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, ა/კსფსრ მთავრობა წარუდგენს სსრკ მთავრობას განსახილველად და დასამტკიცებლად ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის ფინანსიურობის გეგმას, რისთვისაც ფინანსიურობისათვის საჭირო ხარჯების სათანადო ნაწილს შეიტანს ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტში.

ფედერატიულ და რესპუბლიკანურ უწყებას (საწარმოს) შეუძლიან წარუდგინოს, საუწყებო ქვემდებარეობისამებრ, საერთო საკავშირო სახალხო კომისარიატს (საწარმოს) თავისი განცხადება ფინანსიურობის შესახებ მარტოოდენ მას შემდეგ, როდესაც ეს განცხადება დამტკიცებულ იქნება ა/კსფსრ მთავრობის მიერ.

9. ამა დადგენილების განსავითარებლად ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს, ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით, ნება აქვს გამოსცეს ცირკულიარები და ინსტრუქციები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. მაისის 27. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1188 №-ში 1926 წ. მაისის 30-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 16 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

665. სასოფლო მეურნეობის ზოგიერთი დარგის შემოსავლისა და არა-სამიწათმოქმედო შრომის საშოვარის 1926-27 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან განთავისუფლებისა, მემინდვრეობისა და ოთხფეხი საქონლის შემოსავლიანობისა და სხვა საშემოსავლო წყაროების საშუალო ნორმების დაწესებისა, 1926-27 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაუბეგრავი მინიმუმისა და ამ გადასახადის გასტუმრების ვადების დაწესების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1926 წ. აპრილის 26-ს დამტკიცებული 1926-27 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების მე-3 მუხლის თანახმად:

I. განთავისუფლებულ იქნეს 1926-27 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან ყველგან აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებში: ა) მანდარინის პლანტაციისა, ბ) თუთის ხისა, გ) ბალახეულობის თესვისა, დ) მეფრინველეობისა და ე) ხალიჩის ქსოვის წარმოების შემოსავალი.

2) უფლება მიეცეს აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადით დაბეგრონ ან გაანთავისუფლონ დაბეგვრისაგან მეღორეობის შემოსავალი, როგორც ამა თუ იმ რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე, ისე რესპუბლიკის ცალკე რაიონებში.

3) უფლება მიეცეს აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს გაანთავისუფლონ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან ამა თუ იმ სახის არა-სამიწათმოქმედო შრომის საშოვარი და აგრეთვე გაანთავისუფლონ დაბეგვრისაგან ესევე საშოვარი ცალკე რაიონებში.

2. დებულების მე-10 მუხლის 1-ლი შენიშვნისა და მე-11 მუხლის შენიშვნის საფუძველზე ა/კსფსრ-ში მებამბეობის შემოსავალი გამოანგარიშებულ იქნეს ფაქტიურად ბამბით დათესილი მიწის რაოდენობის მიხედვით, შემოსავლიანობის იმ ნორმების თანახმად, რაც დაწესებულია ნათესისათვის; ამასთანავე უფლება მიეცეს აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოებს დესეტინა ბამბის შემოსავლის ნორმები ასწივ-დასწიონ ხოლმე 45-დან 54 მანეთის ფარგლებში.

ზოგადებულების მე-17 მუხლის თანახმად დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ-ში შემდეგი სასოფლო (მტკიცე) ნორმები შემოსავლიანობისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის სახელწოდება	ერთი დესეტინა მიწის შემოსავ. მანეთ.			თითო სული საქონლის შემოსავალი მანეთობით				
	სახნავი ნათესი		სათიბი	ცხენი, აქლემი ჯორი	მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, ხარისა და კამეჩ. გარდა	ხარი და კამეჩი	ვირი	ნერბი-ცხვარი და თხა
აზერბაიჯანი . . .	30	45	18	15	13-25	13-35	5	2-55
სომხეთი	30	45	18	15	13-25	13-35	5	2-55
საქართველო:	30	45	18	15	—	—	—	—
აღმოსავლეთი .	—	—	—	—	13-25	13-35	—	2-55
დასავლეთი . .	—	—	—	—	10-50	13-00	—	1-55

4. ა/კსფსრ სასოფლო მეურნეობის პირობების მიხედვით, დებულების მე-17 მუხლთან შეფარდებით, დაწესებულ იქნეს საშუალო (მტკიცე) ნორმები შემოსავლიანობისა მეურნეობის შემდეგი სპეციალური დარგებისათვის:

რესპუბლიკის სახელწოდება	დ ე ს ე ტ ი ნ ა მ ი წ ი ს შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი					
	ხეხილის ბაღი	ვენახი	თამბაქოს ნათესი	ბოსტანი და ბაღჩა	ბრინჯი	ჩ ა ი
აზერბაიჯანი	145	180	135	120	135	—
სომხეთი	145	185	135	120	135	—
საქართველო	155	170	130	120	135	160

5. უფლება მიეცეს აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოებს შესაბამ. ხოლმე ცალკე ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულებისათვის ამა დადგენილების მე-3 და 4 მუხლით დაწესებული სასოფლო მეურნეობის ცალკე დარგების შემოსავლიანობის საშუალო ნორმები, ისე-კი, რომ აღნიშნული დარგების შემოსავლის საერთო თანხა, ამა თუ იმ რესპუბლიკისათვის საშუალო ნორმების მიხედვით გამოანგარიშებული, უცვლელად დარჩეს.

6. დებულების მე 20 მუხლის თანახმად დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ-ში შემდეგი საორიენტაციო ნორმები შემოსავლიანობისა:

რესპუბლიკის სახელწოდება	შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ა ნ ო ბ ა		
	ფ უ ტ კ რ ი ს ს კ ა (გ ე ჯ ა)		ერთი ფუთი აბრეშუმის ნედლი პარკი
	ჩარჩოიანი	უბრალო	
აზერბაიჯანი	5 მან.	2 მან.	10 მან.
სომხეთი	5 „	2 „	10 „
საქართველო	5 „	2 „	11 „

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დებულების 28 მუხ. თანახმად დატოვებულ იქნეს აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებისათვის 1926-27 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაუბეგრავი მინიმუმი შემოსავლისა იმ რაოდენობით, რაც დაწესებულია დებულების 27 მუხლის „ა“ პუნქტით, ე. ი. 25 მან. თითო მეჯამელზე ან 75 მან. მეურნეობაზე. ცნობილ იქნეს, რომ ეს მინიმუმი ვერ შეიცვლება აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოების მიერ დებულების 28 და 29 მუხლში აღნიშნული წესით.

8. დებულების 35 მუხლის განვითარების მიზნით, იმ მეურნეობათა და მიწათა სიის დადგენა, რომელთა შემოსავალიც, დებულების 34 მუხლის „ბ“—„ზ“ პუნქტების წესისამებრ, განთავისუფლებულია გადასახადისაგან, დაეკისრება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

9. დებულების 36 მუხლის „ბ“ პუნქტის განვითარების მიზნით, ცნობილ იქნეს, რომ ა/კსფსრ-ში ხეხილის ახალი განაშენი, რაც 5 წელს მიღწეული არ არის, არ აღინუსხვება და სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ დაიბეგვრება.

10. დებულების 47 მუხლის თანახმად დაწესებულ იქნეს აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებისათვის 1926-27 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდის შემდეგი ვადები: 1-ლი ვადა—1926 წლის ნოემბრის 1-ლი, როდესაც გასტუმრებულ უნდა იქნეს გადასახადის საერთო თანხის 35%; მე-2 ვადა—1927 წლის იანვრის 1-ლი, როდესაც გასტუმრებულ უნდა იქნეს გადასახადის საერთო თანხის 50% და მე-3 ვადა—1927 წლის თებერვლის 1-ლი, როდესაც გასტუმრებულ უნდა იქნეს გადასახადის დანარჩენი 15%.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. მაისის 27. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1188 №-ში 1926 წ. მაისის 30-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანება სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის რომუნეგულისა აკსფსრ-ში

№ 75.

1926 წ. მაისის 4.

666. ამიერკავკასის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სოფლის მოსახლეობის საშრომო საგზაო ბეგარის შესახებ“ გამოცემული დადგენილების შეფარდების წესებისათვის.

გამოცხადებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრ. აღმას. კომიტეტის პეზიდიუმის ა/წ. თებერვლის 15-ს დადგენილებასთან (ოქმი № 2, § 6, პ. 16) შეფარდებით შემუშავებული და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს პლენუმის მიერ ა/წ. აპრილის 26 მიღებული „წესები ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სოფლის მოსახლეობის საშრომო საგზაო ბეგარის შესახებ გამოცემული დადგენილების შეფარდებისათვის“.

1. აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სახალხო კომისართა საბჭოების გამოუნაკლისად, შეუძლიანთ დააწესონ საშრომო საგზაო ბეგარა არსებული და ახლად გასაყვანი სამაზრო და სათემო, საუბნო თუ სადაირო მნიშვნელობის გზატკეცილებისა და შარაგზების ქსელისა და საგზაო ნაგებობათა შესაკეთებლად და შესანახად საჭირო სამუშაოს შესრულებისათვის.

შენიშვნა. დანიშნული ვადა შეიძლება შევსებულ იქნეს აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების მიერ.

2. იმ გზების ნუსხა, სადაც განხორციელებულ უნდა იქნეს საგზაო ბეგარა სამაზრო საბჭოთა ყრილობებისა და სადაირო, საუბნო და სათემო საბჭოთა ყრილობების განსაკუთრებული შუამდგომლობით, შემუშავებულ იქნება თვითეული წლისათვის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების მიერ, შეთახმებულ იქნება გზატკეცილებისა და შარაგზების რესპუბლიკურ სამმართველოებთან და, სათანადო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით, წარედგინება დასამტკიცებლად რესპუბლიკურ სახალხო კომისართა საბჭოს.

შენიშვნა. მოსახლეობის საშრომო საგზაო ბეგარის დაწესება დაირისა, უბნისა თუ თემის ერთი ან რამდენიმე სოფლის ფარგალში შეიძლება მხოლოდ მაშინ, უკეთუ სათანადო სოფლის საბჭო შუამდგომლობას აღძრავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საშრომო საგზაო ბეგარის მოსახდელად შეიძლება გაწვეულ იქნეს, ამა წესების მე-4 მუხ. აღნიშნულ გამონაკლისთა გარდა, მთლად შრომის უნარიანი მამრობრივი სქესის მოსახლეობა, რომელიც მუდმივად დაირისა, უბნისა, თემისა ან სათანადო სოფლის ფარგალში სცხოვრობს, ასაკით 18-დან 50 წლამდე.

შენიშვნა. ის პირი, რომელიც შრომის საშოვრისათვის სოფლიდან ქალაქად გასულა, გაიწვევავა საგზაო ბეგარაზე, უკეთუ იგი სოფლის გარე 6 თვეზე მეტ ხანს არ იმყოფება განუწყვეტლივ.

4. საშრომო საგზაო ბეგარისგან აუცილებლად განთავისუფლებულ უნდა იქნეს: ა) ყველა ის პირი, ვინც წითელი არმიისა და ფლოტის ნამდვილ სამსახურში იმყოფება; ბ) შრომისა და ომის ინვალიდი; გ) ყველა ის პირი, ვინც, ავადმყოფობისა თუ სახიჩრობის გამო, დროებით დაჰკარგა შრომისუნარიანობა, განთავისთფლდება იმ ვადით, საც საჭიროა შრომისუნარიანობის აღსადგენად.

დამატებითი გამონაკლისს და შეღავათს, ჯანმრთელობის მდგომარეობისა, ოჯახობრივი და სამსახურებრივი ვითარებისა, სამუშაოს ხასიათისა და ყოფაცხოვრებისა და სხვ. ადგილობრივი პირობების მიხედვით, დააწესებენ სადაირო, საუბნო და საოემო აღმასრულებელი კომიტეტები.

5. ყველა იმ დაირისა, უბნისა, თემისა ან სათანადო სოფლის მცხოვრები, სადაც საგზაო ბეგარაა დაწესებული, მოვალეა, პირადი შრომის გარდა გადასცეს დაირისა, უბნისა და თემის აღმასრულებელ კომიტეტსა ან სოფლის საბჭოს, მისდა განკარგულებად, იმ ხნის განმავლობაში, რა ხანსაც იგი საგზაო ბეგარას ასრულებს (მუხ. 10), თავისი მუშა-საქონელი საჭირო ტვირთზიდვის ტრანსპორტით და ინვენტარით, ხოლო არა უმეტეს ორი სული საქონლისა თვითეულ მეურნეობაზე.

6. საგზაო ბეგარა-ვალდებულ პირს შეუძლიან ბეგარის პირადად მოხდა შესცვალოს სათანადო ფულადი შესატანით.

7. ფულადი შესატანის ნორმებს განსაზღვრავს დაირისა, უბნისა, თემისა და მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი, იმის მიხედვით, თუ იმ ადგილას რა საქირავნო ფასი არსებობს მუშა-ხელზე და მუშა საქონელზე, და დაამტკიცებს რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის სახალხო კომისართა საბჭო.

8. საგზაო სამუშაოს ტეხნიკურ გეგმას და ფინანსიურ ხარჯთაღრიცხვას დაიმტკიცებს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი; ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში—რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო და ავტონომიურ ოლქში —ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

9. საშრომო ბეგარაზე გასაწვევ პირთა რიცხვს, იმ სამუშაო დღეების რიცხვს, რის განმავლობაშიაც მოსახლეობამ საგზაო ბეგარა (გადანაკვეთი სამუშაო) უნდა მოიხადოს, მუშა-საქონლის რაოდენობას სათანადო ტვირთზიდვის ინვენტარით და აგრეთვე ბეგარის პირადად მოხდის ნაცვლად შესატანი ფულადი გადასახადის რაოდენობას დაუწესებს, დაირისა, უბნისა და თემის აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი სამუშაოს ტეხნიკური გეგმისა და ფინანსიური ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს; ეს გეგმა და ხარჯთაღრიცხვა იმის მიხედვით უნდა იქნეს შედგენილი, თუ დაირას, უბანს ან თემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა რესურსები გააჩნია და რა სახსარი ესაჭიროება გეგმით გათვალისწინებული საგზაო სამუშაოს განხორციელებისათვის.

10. იმ სამუშაო დღეების რიცხვი, რის განმავლობაშიაც შეიძლება მოსახლეობის საგზაო ბეგარის მოხდისთვის გაწვევა, 5 დღეს არ უნდა აღემატებოდეს, საგადანაკვეთო დებულების ნორმების მიხედვით.

11. მასალების შესაძენად და ტეხნიკური ზედამხედველობის მოსაწყობად საჭირო თანხების რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტში შეტანისათვის —საგზაო სამუშაოს ტეხნიკურ გეგმას და ფინანსიურ ხართაღრიცხვას იმ საგზაო უბანში, რომელსაც ესაჭიროება ფულის ასიგნვა და რომელიც სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განგებლობაშია, ეს უკანასკნელი წარადგენს დასამტკიცებლად არსებული წესისამებრ, ხოლო იმ საგზაო უბანში, რომელიც გზატკეცილებისა და შარაგზების რესპუბლიკანურ სამმართველოს გამგებლობაშია, ეს უკანასკნელი საჭირო ფულად ასიგნვას შეიტანს თავის ხარჯთაღრიცხვაში.

შენიშვნა. მიმდინარე 1925-26 საბიუჯეტო წელს საჭირო ფულადი ასიგნვები მიეკუთვნება სათანადო საგზაო რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ფონდს.

12. უშუალო ადმინისტრატიულ-სამეურნეო გამგებლობა მუშაობისა დაეკისრება: სამაზრო მნიშვნელობის გზაზე—სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს; სათემო, საუბნო ან სადაირო მნიშვნელობის გზაზე—თემისა, უბნისა ან დაირის აღმასრულებელ კომიტეტს; ამასთანავე ორივე შემთხვევაში ტეხნიკური ხელმძღვანელობა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება. ხოლო საერთო ტეხნიკური ზედამხედველობა და ტეხნიკური ინსპექტიობა ყველა იმ მუშაობისათვის, რაც საშრომო ბეგარის წესით სწარმოებს, დაეკისრება გზატკეცილებისა და შარაგზების რესპუბლიკანურ სამმართველოს.

13. უკეთუ საგზაო ბეგარა ისეთ საგზაო უბანშია დაწესებული, რომელიც გზატკეცილებისა და შარაგზების რესპუბლიკანურ სამმართველოს გამგებლობაშია, გზის სამუშაო შესრულებულ იქნება აღნიშნული სამმართველოს უშუალო დირექტივითა და განწესებით.

14. თემისა, უბნისა თუ დაირის აღმასრულებელი კომიტეტი, სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით, განსაზღვრავს სამუშაო გადანაკვეთის ნორმებს, მიიღებს-რა ამასთანავე ანგარიშში იმ ადგილის მანძილის სიშორეს, სადაც მუშაობა სწარმოებს, და აგრეთვე ცალკე დასახლებული პუნქტის მუშაობის მორიგეობას და მუშაობის სეზონს.

ცალკე პირთათვის სამუშაო ადგილსა და დროს დააწესებს თემისა, უბნისა თუ დაირის აღმასრულებელი კომიტეტი უშუალოდ.

15. საშრომო საგზაო ბეგარაზე გაწვეულ პირს წინასწარვე, არა უგვიანეს 3 დღისა მუშაობის დაწყებამდე, ეცნობება მუშაობის დრო და ადგილი.

16. სოფლის მცხოვრები საშრომო საგზაო ბეგარის წესით შეიძლება გაწვეულ იქნეს ისეთ საგზაო უბანში, რომელიც 5 ვერსზე მეტის მანძილით დაშორებული არ არის მის საცხოვრებელ ადგილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ ესა თუ ის პირი სამუშაოდ გაწვეულია ისეთ უბანში, რომელიც მის საცხოვრებელ ადგილიდან 5 ვერსზე მეტი მანძილით არის დაშორებული, ბეგარაზე გაწვეული უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სადგომით, სადაც ღამეს გაატარებდეს.

ის დრო, რასაც გაწვეული 5 ვერსზე მეტი მანძილის გავლას მოანდომებს, მას მუშაობაში ჩაეთვლება.

17. ფაქტიური გამოყენება მოსახლეობისა საგზაო მუშაობისათვის შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამთავრებულ იქნება ამ მუშაობის საორგანიზაციო და ტეხნიკური მომზადება; ამასთანავე საგზაო ბეგარის მოხდის ვადებს დანიშნავს სადაირო, საუბნო, სათემო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი სასოფლო-სამეურნეო მუშაობისაგან თავისუფალ დროს.

18. სასოფლო მნიშვნელობის გზებისა და საგზაო ნაგებობის მოწყობისა და შენახვისათვის საჭირო მუშაობას საშრომო ბეგარის წესით აწარმოებენ იმ სოფლის მცხოვრებნი, რომელსაც ეს გზები ეკუთვნის.

19 საშრომო საგზაო ბეგარა განხორციელდება ნაპრობის პრინციპზე, ე. ი. თვითეული რაიონის მოსახლეობას დაეკისრება განსაზღვრული მოცულობის საგზაო სამუშაო. თანაც საგზაო უბნები მიეწერება ცალკე დასახლებულ პუნქტებს.

20. უკეთუ საგზაო ბეგარის მოსახდელად გაწვეული პირი არ გამოცხადდა სამუშაოდ დანიშნულ დროს, მუშაობას მომცდარი დღეები გადაიტანები ფულზე და ეს ფული გადახდევინებულ იქნება საერთო წესისამებრ, რაც დადგენილია გადასახადთა გადახდევინებისათვის. ამას გარდა, ის პირი, რომელიც დაჟინებით თავს აარიდებს საშრომო საგზაო ბეგარის მოხდას, მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში აკსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლის თანახმად.

24. მე-6 მუხლით გათვალისწინებული საგზაო ბეგარის სანაცვლო ფულადი თანხა გადახდილ უნდა იქნეს გადასახადთა გადახდევინების დებულების წესისამებრ საბიუჯეტო წლის ფარგალში, იმ ვადაზე, რასაც დანიშნავს სადაირო, საუბნო და სათემო აღმასრულებელი კომიტეტი, და რაც უნდა შეეფარდოს ფაქტიურად სამუშაოდ გაწვევის ვადებს.

21. საგზაო ბეგარის სანაცვლოდ შემოსული ფულადი თანხები (მუხ. 21), აგრეთვე ამა წესების მე-20 მუხლის თანახმად გადახდევინებული თანხები ჩაირიცხება სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სახსარში და დაიხარჯება მარტოოდენ საგზაო სამუშაოზე.

23. წესები ესე შეთანხმებულია აკსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და შრომის სახალხო კომისარიატთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზათა სახალხო კომისარიატის
რწმუნებულის (აკსფსრ-ში) მოადგილე **ა. ხაჩიევი.**

ტფილისი. ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლეტ. პრ. № 91.

2/IX 26 წ.—შეკ. № 9766/1611 მთავარლიტ № 1215. ტირაჟი 800.